

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშენს“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	5
2. მომზადების საფუძვლები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	9
5. ძირითადი საშუალებები	11
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	12
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
8. შეზღუდული ფული	12
9. წმინდა საგადასახადო აქტივი.....	12
10. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	12
11. კაპიტალი.....	12
12. ფინანსური იჯარის ვალდებულება.....	13
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	13
14. საერთო მოგება	13
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
17. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	15

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშენს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1 322 045	723 318
გაცემული სესხი			-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 322 045	723 318
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	214 372	2 823 415
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1 838	215 995
შეზღუდული ფული	8	1 126 977	
წმინდა საგადასახადო აქტივები	9	114 598	
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10	82 640	230 631
გადახდილი ავანსები		34 708	29 375
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 575 133	3 299 416
სულ აქტივები		2 897 178	4 022 734
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	11	953 521	2 805 303
სულ კაპიტალი		953 521	2 805 303
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	57 923
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	57 923
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	12		14 879
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4 042	1 036 522
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები			108 107
მიღებული ავანსები		1 939 615	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 943 657	1 159 508
სულ ვალდებულებები		1 943 657	1 217 431
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 897 178	4 022 734

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

გიორგი მეთეფშიშვილი

დირექტორი

რუსუდან როსტიაშვილი


მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაუნტინ რეზორტს სოლუშენს“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1 322 045	723 318
გაცემული სესხი			-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 322 045	723 318
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	214 372	2 823 415
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1 838	215 995
შეზღუდული ფული	8	1 126 977	
წმინდა საგადასახადო აქტივები	9	114 598	
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10	82 640	230 631
გადახდილი ავანსები		34 708	29 375
სულ მოკლევადიანი აქტივები		1 575 133	3 299 416
სულ აქტივები		2 897 178	4 022 734
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	11	953 521	2 805 303
სულ კაპიტალი		953 521	2 805 303
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	57 923
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	57 923
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	12		14 879
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4 042	1 036 522
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები			108 107
მიღებული ავანსები		1 939 615	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 943 657	1 159 508
სულ ვალდებულებები		1 943 657	1 217 431
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 897 178	4 022 734


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.



გიორგი მეთეფშვილი

დირექტორი





რუსუდან როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშენს“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	3 030 168	16 563 265
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(2 034 357)	(9 936 756)
საერთო მოგება		995 811	6 626 509
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2 213 308)	(2 583 592)
სხვა შემოსავლები		326 382	35 347
ფინანსური ხარჯი		(28 352)	(1 983 169)
ფინანსური შემოსავალი		5 905	16 639
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(139 724)	1 267 162
სხვა ხარჯები		(641 476)	(22 069)
მოგება დაბეგვრამდე		(1 694 762)	3 356 827
მოგების გადასახადი			
წლის წმინდა მოგება / (ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი		(1 694 762)	3 356 827
დაგროვილი მოგება / ზარალი წლის დასაწყისში		2 805 303	(551 524)
გაცემული დივიდენდი		(157 020)	
დაგროვილი მოგება / ზარალი წლის ბოლოს		953 521	2 805 303

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

გიორგი მეთეფშიშვილი

რუსუდან როსტიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაუნტინ რეზორტს სოლუშენს“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	3 030 168	16 563 265
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(2 034 357)	(9 936 756)
საერთო მოგება		995 811	6 626 509
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2 213 308)	(2 583 592)
სხვა შემოსავლები		326 382	35 347
ფინანსური ხარჯი		(28 352)	(1 983 169)
ფინანსური შემოსავალი		5 905	16 639
მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(139 724)	1 267 162
სხვა ხარჯები		(641 476)	(22 069)
მოგება დაბეგრამდე		(1 694 762)	3 356 827
მოგების გადასახადი			
წლის წმინდა მოგება / (ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი		(1 694 762)	3 356 827
დაგროვილი მოგება / ზარალი წლის დასაწყისში		2 805 303	(551 524)
გაცემული დივიდენდი		(157 020)	
დაგროვილი მოგება / ზარალი წლის ბოლოს		953 521	2 805 303

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.



გიორგი მეთეფშიშვილი
 დირექტორი



რუსუდან როსტიაშვილი
 მთავარი ბუღალტერი



შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშენს“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი (შენიშვნა 11)
31 დეკ. 2019	-	(551 524)	(551 524)
წლის წმინდა ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი	-	3 356 827	3 356 827
31 დეკ. 2020	-	2 805 303	2 805 303
წლის წმინდა ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1 694 762)	(1 694 762)
გადახდილი დივიდენდი	-	(157 020)	(157 020)
31 დეკ. 2021	-	953 521	953 521

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

გიორგი მეთეფშიშვილი

დირექტორი

რუსუდან როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაუნტინ რეზორტს სოლუშენს“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი (შენიშვნა 11)
31 დეკ. 2019	-	(551 524)	(551 524)
წლის წმინდა ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი	-	3 356 827	3 356 827
31 დეკ. 2020	-	2 805 303	2 805 303
წლის წმინდა ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1 694 762)	(1 694 762)
გადახდილი დივიდენდი	-	(157 020)	(157 020)
31 დეკ. 2021	-	953 521	953 521

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.



გიორგი მეთეფშიშვილი

დირექტორი



რუსუდან როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი



შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუმენს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმენსი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2017 წლის 14 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო თბილისი ვაკის რაიონი ო. თაქთაქიშვილის ქ. N 12/12ა ბ. 46. 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს სერგო შულაროვი.

შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმენსი თავაზობს კლიენტებს სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებებს და პროდუქტებს სამთო სათხილამურო კურორტების განვითარებისთვის, მათ შორის: საბაგირო გზების და Zip line-ების აშენება/მონტაჟს, ხელოვნური გათოვლიანების სისტემებს, თოვლის სატკეპნ მანქანებს და მათ ტექნიკურ სერვისს, ზვავის კონტროლის სისტემების და სათხილამურო კურორტების უსაფრთხოების აღჭურვილობას. შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმენს-ის მიზანია საქართველოში ევროპული და FIS სტანდარტების შესაბამისად სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარება და ზამთრის სპორტის პოპულარიზაცია.

მისი დაარსებიდან, შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმენსი გახდა მთიანი რეგიონების განვითარების სექტორში ისეთი წამყვანი ბრენდების ოფიციალური დისტრიბუტორი როგორებიცაა: მსოფლიოში ყველაზე მსხვილი თოვლის სატკეპნი მანქანების მწარმოებელი კომპანია Kässbohrer AG; MND Group და მისი ყველა ბიზნეს სექტორი: LST, SUFAG, TAS, TechFun, Zip line-ებსა და სხვა გასართობი ობიექტების მშენებლობა/მონტაჟში, MBS - გლობალური ლიდერი სამთო სათხილამურო ტრასების უსაფრთხოების აღჭურვილობის წარმოებაში; Cables & Montage; MULTI SKILIFTBAU GmbH; Axecc; GBH Design; Teufelberger/Redaelli და ა.შ.

შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმენს-ს შეუძლია მომხმარებელს შესთავაზოს მთიანი რეგიონების განვითარებისთვის ნებისმიერი ტექნიკა და გადაწყვეტილება, დაწყებული თოვლის სატკეპნი მანქანებით და დამთავრებული საბაგირო გზებით. სერტიფიცირებული და გამოცდილი შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმენს-ის სპეციალისტების გუნდი მომხმარებელს თავაზობს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უმაღლესი ხარისხის მომსახურებას.

2021 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 22 (2020 - 21).

საქართველოს საგადასახადო სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე ასევე სამართლებრივ მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუმენს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო არაერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და შედეგად კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი / ლარი	ევრო / ლარი
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის	3.2766	4.0233

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალზე.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის გადამუშავების და სხვა ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშენს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალზე.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება მომსახურების გასაწევად და გასაყიდად განკუთვნილი ნედლეული-მასალებისგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ როდესაც ვალდებულება შესრულდება გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადოების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადოებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება ბანკების მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი დივიდენდების გადახდის შედეგად აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს შეფასებებსა და დაშვებებს რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის ხარჯების აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში. ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტივები განაპირობოს მოცემულია ქვემოთ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორების ნაშთების ამოღება. თუ მსხვილი დებიტორის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივად ვადაგადაცილება უფრო მაღალია ვიდრე განსაზღვრული იყო სავაჭრო დებიტორული ანგარიშები შესაძლოა დარეზერვდეს. კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად იმისდა მიხედვით თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება მოსალოდნელი წარმადობა სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუმენს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასულ და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშენს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	კავშირგაბმ ულობის საშუალებებ ი	ოფისის აღჭურვი ლობა	კომპ. ტექნიკა და პერიფ. მოწყო ბილობები	ავტო მობილ ური	ინვენტა რი	სპეციალუ რი ინსტრუმე ნტები	სარეკლამო საშუალებ ები	სატრანსპორტო საშუალებ ები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება 31 დეკ. 2019	5 126	350	17 297	1 093	1 055	12 156	93	163 680	-	200 850
შეძენა	7 594	-	16 789	-	6 971	168 628	-	457 967		657 949
გასვლა			(4 231)							(4 231)
ღირებულება 31 დეკ. 2020	12 720	350	29 855	1 093	8 026	180 784	93	621 647	-	854 568
შეძენა	3 804	6 161	200	30 114	6 095	926	565	233 972	736 425	1 018 262
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	(270 201)	-	(270 201)
ღირებულება 31 დეკ. 2021	16 524	6 511	30 055	31 207	14 121	181 710	658	585 418	736 425	1 602 629
ცვეთა										
დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2019	(1 010)	(4)	(1 928)	(373)	(123)	(3 586)	(29)	(11 601)	-	(18 654)
ცვეთა წლის განმავლობაში	(1 733)	(70)	(5 468)	(219)	(590)	(12 357)	(19)	(92 989)		(113 445)
გასულის ცვეთა			849							849
დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2020	(2 743)	(74)	(6 547)	(592)	(713)	(15 943)	(48)	(104 590)	-	(131 250)
ცვეთა წლის განმავლობაში	(2 841)	(725)	(6 005)	(2 072)	(2 640)	(36 283)	(63)	(115 247)	(24 913)	(190 789)
გასულის ცვეთა								41 455		41 455
დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2021	(5 584)	(799)	(12 552)	(2 664)	(3 353)	(52 226)	(111)	(178 382)	(24 913)	(280 584)
საბალანსო ღირებულება										
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკ. 2019	4 116	346	15 369	720	932	8 570	64	152 079	-	182 196
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკ. 2020	9 977	276	23 308	501	7 313	164 841	45	517 057	-	723 318
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკ. 2021	10 940	5 712	17 503	28 543	10 768	129 484	547	407 036	711 512	1 322 045

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუმენს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	23 683	264	436 485
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	190 689	2 823 151	190 875
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	214 372	2 823 415	627 360

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან	1738	215 995	3 448
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	100	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 838	215 995	3 448

8. შეზღუდული ფული

შეზღუდული ფული შედგება შპს „ემ თი ეი“-სთან 2021 წლის დეკემბერში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად თიბისი ბანკის მიერ დაჯავშნილი თანხიდან, რომელიც პროდუქციის მიწოდების შემდეგ თავისუფლდება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა სრულად განთავსებულია.

9. წმინდა საგადასახადო აქტივები

წმინდა საგადასახადო აქტივი ძირითადად შედგება შპს ემ თი ეი"-სთან 2021 წლის დეკემბერში გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ჩარიცხულ ავანსზე გადახდილი დღგ-ს თანხისგან.

10. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
საქონელი	78 142	228 117	1 697 668
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	4 498	2 514	3 816
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	82 640	230 631	1 701 484

11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 0 ლარს (2020 წლის 31 დეკემბრისთვის - 0 ლარი). 2021 წლის განმავლობაში კომპანიის ზარალმა შეადგინა 1 694 762 ლარი (2020 წლის მოგება - 3 356 827 ლარი)

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუმენს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

12. ფინანსური იჯარის ვალდებულება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით ფინანსური იჯარის ვალდებულება განულებულია:

	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
ერთი წლის განმავლობაში	-	28 288
ერთ წელზე მეტი და ხუთ წლამდე	-	75 436
ხუთი წლის შემდეგ	-	-
	-	103 724
მომავალი ფინანსური ხარჯები	-	(20 580)
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	83 144

ვალდებულება კლასიფიცირდება
 შემდეგნაირად:

გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	57 923
მიმდინარე ნაწილი	-	14 879
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	72 802

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2021	12/31/2020	12/31/2019
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქნილი ვალდებულებები	4 042	1 036 522	155 609
გადასახდელი ხელფასი	-	-	3 725
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4 042	1 036 522	159 334

14. საერთო მოგება

ამონაგები	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
საქონლის/მომსახურების გაყიდვიდან	3 030 896	16 586 890
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(728)	(23 625)
სულ ამონაგები	3 030 168	16 563 265

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2021	2020
საწყისი მარაგები	(230 631)	(1 701 484)
მარაგების/მომსახურების შესყიდვა	(2 620 233)	(8 567 224)
მარაგების ჩამოწერა	76 498	101 321
ძ/ს გადატანა	657 369	-
საბოლოო მარაგები	82 640	230 631
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2 034 357)	(9 936 756)
საერთო მოგება	995 811	6 626 509

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუმენს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
შრომის ანაზღაურება	1 422 626	1 837 886
მივლინება/წარმომადგენლობის ხარჯები	96 347	20 758
საიჯარო ქირა	234 573	287 475
ცვეთა და ამორტიზაცია	190 788	113 445
რეკლამის ხარჯები	29 539	17 240
სამეურნეო/საოფისე ხარჯები	43 590	42 668
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	106 893	73 220
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	88 952	190 900
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2 213 308	2 583 592

16. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული მოგება ზარალის მუხლები 2021 და 2020 წლისთვის და საბალანსო ნაშთები 2021 და 2020 წლების მიხედვით:

მოგება ზარალის მუხლები	2021	2021	2020	2020
	ოპერაციები დაკავშირებულ პირთან	მთლიანი კატეგორიის ბრუნვა	ოპერაციები დაკავშირებულ პირთან	მთლიანი კატეგორიის ბრუნვა
გაყიდვები დაკავშირებულ მხარესთან	116 108	3 030 168	-	16 563 265
შესყიდვები დაკავშირებული მხარისგან	(6 275)	(2 034 357)	(35 587)	(9 936 756)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(68 594)	(2 213 308)	(181 716)	(2 583 592)
ფინანსური შემოსავალი	5 905	5 905	16 639	16 639
ფინანსური ხარჯი	(788)	(28 352)	(1 821 218)	(1 983 169)
სხვა ხარჯი	(634 251)	(641 476)	-	(22 069)

შპს „მაუნთინ რეზორტს სოლუშენს“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლები	31.12.2021	31.12.2021	31.12.2020	31.12.2020
	დაკავშირებული მხარის ნაშთი	მთლიანი კატეგორიის ნაშთი	დაკავშირებული მხარის ნაშთი	მთლიანი კატეგორიის ნაშთი
გაცემული სესხები	-	-	-	-
გადასახდელი პროცენტი	-	-	-	-
გადახდილი ავანსები	-	34 708	-	29 375

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 923 470 ლარს (2020 – 1 252 225)

17. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2021 წლის მსგავსად, მსოფლიო მაშტაბით შექმნილი ვითარების შედეგად, რომელიც გამოწვეულ იქნა ახალი კორონავირუსით COVID-19, 2022 წელსაც არა ერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ კომპანიმ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.
- მსოფლიო მაშტაბით შექმნილი ვითარების შედეგად, რომელიც გამოწვეულ იქნა ახალი რუსეთი-უკრაინის ომით, 2022 წელს არა ერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ კომპანიმ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- 2022 წლის ივლისში კომპანიამ შეიძინა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. N70-ში მდებარე სივრცე, რომელიც ადრე იჯარით ჰქონდა აღებული. ამ ოპერაციის დაფინანსება მოხდა სს „თიბისი ბანკიდან“ ათვისებული სესხის მეშვეობით, რომლის ოდენობა 1 248 132,90 ევროა.
- გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება შპს ტრანსპორტერ ბაიკთან: 2022 წლის მარტში სესხად გასცა 35 850 ევრო და აპრილში 1150 ევრო 6,6%-იანი განაკვეთით (მომდევნო თვეებში სესხი ეტაპობრივად იფარებოდა). აგრეთვე გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება შპს ტრანსპორტერთან: 2022 წლის მარტში სესხად გასცა 48 600 ევრო და აპრილში 23 000 ევრო 6,6%-იანი განაკვეთით (მომდევნო თვეებში სესხი სრულად დაიფარა). სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა.